ხონის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი № 3

ქ. ხონი
ოქტომბერი

2023 წლის 6 ოქტომბერს , ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში,ხონის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ელისო ჯიქიას ხელმძღვანელობით საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა , რომელსაც ესწრებოდნენ წევრები : გელა ჩოგოვაძე, ზაზა რუხაძე, დემურ სულაბერიძე, გურამ ბახტაძე, ზურაბ მიქაძე, ბაჩანა ბასილაია, თამარ უგულავა, თეკლა ონიანი, აკაკი ქვათელაძე, მანანა აკობიძე, ასევე მოწვეული სტუმარი მამუკა ჭავჭანიძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის კოორდინაციის განყოფილების უფროსი.

შეხვედრის დრის წესრიგი:

1. 11 ოქტომბრის-გოგონათა საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა/ორგანიზება-მომხსენებელი ელისო ჯიქია, საბჭოს წევრი;

1. 15 ოქტომბრის-სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა/ორგანიზება,წარმოდგნილი კანდიდატების განხილვა, წახალისების ფორმებზე მსჯელობა - მომხსენებელი ელისო ჯიქია, საბჭოს წევრი;

2. გენდერული საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილების განხილვა - მომხსენებელი კახა ქვათელაძე, საბჭოს მდივანი;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე: მომხსენებელმა ელისო ჯიქიამ წარმოადგინა მოსაზრება : ,,საბჭოს სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გოგონათა უფლებების აღიარებასა და დაცვას, განათლების ხელშეწყობას, მათი შესაძლებლობების გაზრდას ,ასევე, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა ტიპის ჩაგვრასა და დისკრიმინაციაზე, მიეძღვნას გარკვეული ღონისძიებები და საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში დაიგეგმოს და განახორციელოს კონკრეტული აქტივობები,, .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე: მომხსენებელმა ელისო ჯიქიამ სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, განმარტა : ,, სოფლად მცხოვრები ქალების დიდი ნაწილი, მათ შორის ხონის მუნიციპალიტეტშიც, სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს და მათ მიერ ქვეყნის ეკონომიკასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილი პრაქტიკულად შეუმჩნეველი რჩება. მნიშვნელოვანია ამ დღის აღნიშვნა კონკრეტული აქტივობებით, რომ საზოგადოებას შევახსენოთ თუ რამდენად ფასეულია ამ ქალების შრომა და მოვუწოდოთ თანამოქალაქეებს , რომ ღირსეულად აღვნიშნოთ დავაფასოთ და შევაფასოთ მათი წვლილი,,. სხდომაზე მოწვეულმა სტუმარმა მამუკა ჭავჭანიძემ წარმოადგინა მერის წარმომადგენელთა ჩართულობით მომზადებული ღვაწლმოსილი

ქალების სია , რომლებმაც მთელი ცხოვრება საოჯახო-სამეურნეო შრომას და სოფელს მიუძღვნეს.

დღის წესრიგით გათვლისწინებულ მესამე საკითხზე: მომხსენებელმა აკაკი ქვათელაძემ წარმოადგინა საბჭოს დებულება და ის ცვლილებები, რომელიც საბჭოს ოპტიმიზაციასა და წევრთა შემადგენლობის შემცირებასა და განსაზღვრას შეეხება. ,, წარმოგიდგენთ დაკორექტირებულ დებულებას, სადაც დაკონკრეტებული წევრთა რაოდენობა და დაკორექტირებულია იმ პირთა სტატუსი, რომლებიც საბჭოში ადგილობრივი თვითმმართველობიდან არიან წარმოდგენილები,, .

საბჭოს წევრებმა წარმოდგენილ საკითხებზე იმსჯელეს მიიღეს **გადაწყვეტილებები** და შეიმუშავეს შემდეგი **რეკომენდაციები:**

პირველი საკითხი: საბჭოს წევრთა მსჯელობისა და მოსაზრებების საფუძველზე , გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საჯარო სკოლების უფროსკლასელებთან (3 შეხვედრა) გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები და მუნიციპალიტეტის სოციალურ პლათფორმებსა და ვებ გვერდზე განთავსდეს საინფორმაციო პოსტერი.

მეორე საკითხი: ,,საბჭოს წევრთა მსჯელობის, წარმოდგენილი სიის განხილვისა და გამოთქმული მოსაზრებების შეჯერების შედეგად , საბჭო შეთანხმდა, რომ ადგილობრივი გენდერული ბიუჯეტიდან მოხდეს ხონის მუნიციალიტეტის 12 ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთა მიერ შერჩეული სოფლად მცხოვრები ქალების წახალისება.

მესამე საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს დებულებაში წარმოდგენილ ცვლილებებს მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა და გადაწყდა, რომ ცვლილებები დასამტკიცებლად, უახლოეს სხდომაზე, წარედგინება ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ხონის გენდერული თანასწორობის

საბჭოს თავმჯდომარის მოადილე: ელისო ჯიქია

მდივანი : აკაკი ქვათელაძე